№ 165
ოთხშაბათი, 13 აგვისტო 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 165
ოთხშაბათი, 13 აგვისტო 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

სასწავლებელი მეორე ხარისხისა

## სპ. ბ. ჯორჯიკიასი

(ქუთაისი, ტფილისის ქუჩა, №№ 28 და 35).

სასწავლებელი შესდგება სამის მოსამზადებელ და ორის პრო-გიმნაზიულ კლასისაგან. სასწავლებელთან დაარსებულია პანსიონი და სარეპეტიციო (საღამოს) კლასები როგორც ამავე სასწავლებლისა, ისე გიმნაზიისა, რეალურ და სხვა სასწავლებლების ყველა კლასის მოსწავლეთათვის.

მისაღები ეგზამენები იწყება 20 აგვისტოდგან, ხოლო სწავლა—პირველ სექტემბრიდგან.

(10—6.—4)

რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც შარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესპოთ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჰსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, თუმანს უნდა დაუმატონ კიდევ 3 მან. 33 კაპ.

წმ. ნინოს სახელობაზედ დაარსებულ საქველ-მოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა ამითი აცხადებს, რომ **მისაღები ეგზამენები** თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში დანიშნულია 1 **სექტემბრისათვის.** თხოვნა და არზა ამ სასწავლებელში შესვლის შესახებ უნდა დაიწეროს ამა გამგეობის სახელობაზედ და ამასთან დართული ჰქონდეს მოწმობა ანუ ამოწერილობა წლოვანების დავთრიდგან (მეტრიკა) და მოწმობა მკურნალისა ყვავილის აცრის შესახებ.

მსურველთ შეუძლიანთ ისწავლონ ფრანგული ენა და მუსიკაც, მხოლოდ ამ საგნების სწავლებისათვის განსაკუთრებული სასყიდელი გარდახდებათ.

სრულის ხარჯით შემოსულთ გარდახდებათ 180 მან., ნახევარის ხარჯით შემოსულთ—90 მან., ხოლო გარედგან მოსიარულეთ—30 მან. წელიწადში.
კურსი პროგიმნაზიულია.

(3—უ.—3)

გამოცდილი **მასწავლებელი ქალი ამზადებს ყმაწვილებს** სხვა-და-სხვა სასწავლებლის უმცროსს კლასებში შესასვლელად. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ პირადად და წერილით: მიხეილის ქ., სახლი კრაუზესი, № 79, ქ-ნს დიდებულიძისას.

(3—154—1)

## ახალი ამბავი

—

*** როგორც შევიტყეთ, ბ-ნ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს უკვე დაუმტკიცებია ბ-ნი ალექსანდრე გარსევანიშვილი ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობაზედ.

*** ტფილისის ხელოსნებმა საფრანგეთის პრეზიდენტს ფორს შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს პეტერბურგში.

„ჩვენს შორეულს კავკასიაში მყოფ შრომის შვილთ კარგად გვახსოვს ის ბედნიერი დაუვიწყარი წამები, როდესაც მოგვესმა მღელვარე საფრანგეთმა, როდესაც პატივისცემით და სიამოვნებით დაუხვდა ჩვენს მამას—იმპერატორს და დედას—იმპერატრიცას. ეხლა, ბატონო, მოგვივლენთ ის ბედნიერება—თქვენ გვლავ წვეულ. ასეთისავე აღტაცებით ვეგებებით თქვენს მობრძანებას, გიგზავნით სალამს, გულით ვისურვებთ თქვენთვის ყოველს სიკეთეს და გთხოვთ ეს სურვილი გადასცეთ ჩვენს მოძმეთ, კეთილშობილის საფრანგეთის შვილთ. გაგიმარჯოთ თქვენ, ბატონო, პრეზიდენტო, საფრანგეთის ხანგრძლივოდ! გაუმარჯოს რუსეთისა და საფრანგეთის მეგობრობას მათდა სასიხარულოდ და სასახელოდ“.

*** ქუთაისში არჩევანების დრო მოახლოვდა. ქალაქს გამოფხიზლება ეტყობა, როგორც ამომრჩევლებს, ისე ძველს ქალაქის მამებსაც, რომლებიც სცდილობენ ქალაქს თავისი გულშემატკივრობა და საქმიანობა დაანახვონ და კვლავ ამორჩეულ იქმნენ.

*** იურიევის უნივერსიტეტის პროფესორი ბ-ნი ლევინსონ-ლესინგი, რომელიც ამ რამდენისამე ხნის წინად ტფილისში იყო, დეპეშითა სთხოვს ქალაქის გამგეობას, რომ გეოლოგთა და ექიმთა კონგრესის 300 წევრისთვის ბინა მოამზადეთო. უცხოელი სტუმრები 6 სექტემბერს ჩამოვლენ და 11 სექტემბრამდე დაჰყოფენ ტფილისში, შემდეგ ბაქოში წავლენ. „ტფილისის სობრანიის“ ზამთრის სადგომში 200 კაცი იქმნება მოთავსებული, დანარჩენი 100—სხვა-და-სხვა სასტუმროში და მათ შორის „ორიანტში“—50 კაცი.

*** ახლად გასაყვანი ჯარის-კაცების მიღებას ტფილისის ქალაქის სამხედრო ბეგარის საკრებულო 15 ოქტომბრიდგან შეუდგება. ამ დღეს კენჭის ყრა იქმნება, ხოლო შემდეგ ექიმები გასინჯავენ ახლად გაწვეულს ჯარის-კაცებს.

გრინფელდის მეთაურობით სდგება ახალი საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს კეთროვანების წინააღმდეგ ბრძოლა კავკასიაში.

*** ამიერ-კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის მთავარი რედაქტორი ნ. კ. ზეიდლიცი პეტერბურგში მიდის სასტატისტიკო კრებაში მონაწილეობის მისაღებად. კრება ამ თვის გასულს იქნება.

*** ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგეს თანამდებობის აღმასრულებელი ვ. ი. პავლოვსკი 10 აგვისტოს სარევიზიოდ წავიდა სხვა და-სხვა ადგილას. იმის თანამდებობას დროებით აღასრულებს სატყეო რევიზორი ბ-ნი კობიაშვილი.

*** ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო მამულების სამინისტროს აზრადა აქვს ამიერ-კავკასიაში გამართოს ორაგულის მოსაშენებელი ადგილი. ამ აზრით სამინისტრომ გაჰგზავნა ბ-ნი კავროისკი და ინჟენერ გიდრავლიკი პსარევი იმ ადგილების გამოსაკვლევად, სადაც შესაძლებელი იქმნება მისი გამართვა. ბ-ნ კავროისკიმ და პსარევმა უკვე გამოიკვლიეს ყველა ადგილები და კიდეც დაბრუნდნენ ტფილისში. მათის აზრით, საუკეთესო ადგილი მდ. პატარა-არაგვია, ფასანაურის მახლობლად, გუდამაყარის ხეობაში. უკანასკნელად გადაწყვეტა ამ საქმისა სამინისტროსაგან არის დამოკიდებული.

*** ახალშენს „ღრმა-ღელეს“ თანდათან წარმატება ეტყობა: რამდენიმე მშვენიერი სახლი ააგეს, გამართეს ორი დუქანი, ორი აგურისა და კრამიტის დასაწვავი და ერთიც ტყის [illegible] სის სიცხეებმა ცოტა არ იყოს დააზიანა ახლად ჩაყრილი ხეები. წარსულ მაისს ამორჩეული კომისია, რომელიც 12 კაცისაგან შესდგება, უკვე შეუდგა წყლის მილის გაყვანის საქმეს. რკინის გზის მმართველობა დაჰპირდა კომისიას, რომ ბაქანს მაშინვე გავმართავთ, რა წამსაც ოცი სახლი იქმნება აშენებული ღრმა-ღელეშიო.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას ამ დღეებში კვლავ მიუღია დაწვრილებითი ცნობები დუშეთისა და თიანეთის მაზრის

## ფელეტონი

—

**ნაწყვეტი**

—

კმარა წამება, წყეულო,
სულს ნუ მოსტაცე ღონეო,
ნუ შემაძულე სიცოცხლე,
სხვებრ ნუ ალმინთე თონეო;
მისით მეყოფა, რაც დღემდის
სასჯელით დამაღონეო,
რა მწარე დღენიც მაჩვენე,
რაც ხელში დამიმონეო!..

ვ. თ—შვილი

**ბაგრატ-მირზა**

(ისტორიული ამბავი)

**I**

—„სწორედ ახლა ვარ გულ-დამშვიდებული. ქართლ-კახეთი ავაოხრე ისე საშინლად, რომ კაი ხანი გავა, სანამ ის წელში გაიმართებოდეს. ტყვედ მყავს ქართლის მეფე ლუარსაბი და ქეთევანი, დედოფალი კახეთისა“.

ასე ჰმუსაიფობდა თავისთავად ერთს დილას თეირანში შაჰ-აბაზ პირველი, დაუძინებელი მტერი ქართველებისა. ორი წელიწადია, რაც მან აღაოხრა ქართლ-კახეთი საშინელის მძვინვარებით. იგი იჯდა თავისის სასახლის ერთს მდიდრულად მორთულს ოთახში სამეფო ტახტზედ და გატაცებული იყო რაღაც ოცნებით. უეცრად კარი გაიღო და შემოვიდა მასთან ერთი მაღალის ტანის გამხდარი, წვერ-მოპარსული კაცი. შაჰმა მას წყრომის, მაგრამ ცნობის-მოყვარეობის თვალით შეხედა.

—დიდებულო შაჰო! დაიწყო შემოსულმა: ქართლ-კახეთი შეერთებულა და თეიმურაზი იმის მეფედ გამხდარა. ხმები მოდის, რომ ჯარს აგროვებსო, ციხე-კოშკებს ამაგრებს და ჰსურსო, განუდგეს ხელმწიფობასა თქვენსა. ერთგულება ირანის ტახტისა მაიძულებს ეს ამბავი თქვენს უდიდებულესობას შევატყობინო.

— უბრძანე დაასაჭურისონ თეიმურაზის შვილები ლევანი და ალექსანდრე, რომელნიც მძევლებად მყვანან; თეიმურაზის დედა ქეთევანი ბნელს ციხეში დაამწყვდიონ, შეაიწროვონ ლუარსაბიც, მეფე ქართლისა. მალე, ძლიერ მალე წავიდეთ საომრად ქართლ-კახეთში. იქაური ხალხი ავყაროთ და აქ გადმოვასახლოთ. მთხოვე რა გინდა, გატყობ, რომ ერთგული ხარ. ერთგულთათვის კარგი არა მშურს.

— იცის თქვენმა უდიდებულესობამ, მიუგო შემოსულმა: მამა ჩემი დაუთ-ხანი იყო კანონიერი მემკვიდრე ქართლის სამეფო ტახტისა. თქვენის ერთგულებისათვის უარ-ჰყო თვისი მამა-პაპური სჯული და მიიღო მაჰმადიანობა. მეც აქ აღვიზარდე, მივიღე მაჰმადიანობა...

— ვიცი, ვიცი, რასაცა მთხოვ... წავიდეთ საომრად ქართლ-კახეთში, და, უკეთუ ერთგულებას გამოიჩენ, მეფობას მოგცემ!

— თავს გიკრავს მიწამდის თქვენი ფეხის მტვერი!—სთქვა უცნობმა, თავი იატაკამდე მიიტანა მოწიწებით და ამის შემდეგ გამხიარულებული გავიდა შაჰის ოთახიდგან.

ეს შაჰის ფეხის მტვერი იყო ბაგრატ-მირზა ბაგრატოვანი, ძე დაუთხანისა და ძმისწული სვიმონ დიდისა.

იმ შავ-ბნელს დროს ბევრი ქართველი ბატონიშვილი სცხოვრობდა სპარსეთის მეფის კარზედ,—ყველა მათგანი გატაცებული იყო მეფობის სურვილით, ყველას სურდა ან ქართლში და ან კახეთში მეფედ გამხდარიყო. ზოგი მათგანი სიმამაცითა და ზოგიც ჯაშუშობითა სცდილობდა დაემსახურებინა შაჰის ყურადღება. ბაგრატ-მირზაც იყო გატაცებული ამ სურვილით. იმას უნდოდა ასულიყო ქართლის სამეფო ტახტზედ, რომელიც მისის ბიძა შვილის შვილის ლუარსაბის შაჰ-აბაზის მიერ დატყვევების შემდეგ გაუქმებული დარჩა. ქართლ-კახეთის გაერთიანების ამბავი არაფრად ეპაშნიკა ბაგრატ-მირზას.

— რა მეზიზღებიან სამშობლოს, მოძმე ერის და სჯულის მოღალატენი?! სთქვა თავის თავად შაჰმა, როცა ბაგრატ-მირზა გავიდა კარში. მე რა-ვჰქნა?! თვით ქართველები მტრობენ თავისს სამშობლოსა, იმისს კეთილდღეობას ძირს უთხრიან და მეც ხელი უნდა მოვითბო. რა შესაბრალისი ხალხია ქართველი ხალხი. ორი ერთად ვერ მოთავსებულა, ერთმანეთსა სჭამენ, სწორედ „თავი ჭამია“ ხალხია.

შაჰ-აბაზმა ბაგრატ-მირზა რამდენისამე ხნის შემდეგ ქართლ-კახეთში წამოიყვანა და დიდის სისხლის ღვრის შემდეგ ქართლში გაამეფა. თეიმურაზი კახეთიდგან იმერეთს გაიქცა. ბაგრატ-მირზას სპარსეთიდგან მოჰყვა რამდენიმე სპარსი საქართველოში დროების გასატარებლად; ქართლი ამათგან შეწუხებულ შევიწროებული იყო. ისინი მეფის სახელით დათარეშობდნენ ქართლში, და მეფე მათ უნამუსო საქციელს ყურადღებას არ აქცევდა, რადგან ამ არამზადა კაცებზედ იყო დამოკიდებული მისი გვი

გარდასახადთა ინსპექტორისაგან იმის შესახებ, თუ დასახელებულს რაიონში რომელი გზა შეადგენს მცხოვრებთათვის აუცილებელს საჭიროებას: ერთია ამათგანი კახეთ-ანანურის გზა, რომელიც თელავსა, ახმეტასა, თიანეთსა და ჟინვანზედ გადის და მეორე თიანეთიდგან ტფილისს მოდის. პირველის გზით კახეთიდგან ჩრდილო კავკასიაში გადააქვთ ღვინოები და სამაგიეროდ იქიდგან გადმოაქვთ პური, ხოლო მეორეთი ტფილისს უერთდება მთელი მაზრა, რომელიც მუდამ ჰსაჭიროებს საქართველოს შუაგულ დედა-ქალაქში სიარულს, ჩამოაქვს გასასყიდად ერბო, კვერცხი, ფრინველი და სხ. ორივე გზა ნათქვამია, ადგილობრივ მცხოვრებთა ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლადა და მათ შორის განკარგებულის მეურნეობის გასავრცელებლად აუცილებლივ საჭიროა და უთუოდ ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ეს დღეს დღეობით უვარგისი გზები გაკეთებულ იქმნანო.

*** სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განკარგულებით ამ მიმდინარე წელს კავკასიის სააბრეშუმო სადგურთან ტფილისში აბრეშუმის ამოსახვევ და საქსოვ განყოფილების გამართვას შეუდგებიან.

*** ამ უკანასკნელს დროს ტფილისის ზოგიერთ ბაღებში უნახს რაღაც ჭირი გაუჩნდა. მარცვალი დამწიფებას იწყებს თუ არა, რაღაც თეთრი ობი ეკიდება, შემდეგ ხმება და სცვივა.

*** კისლოვოდსკიდგან სწერენ ტფილისის გაზეთებს, რომ ტფილისის სახელმწიფო თე[illegible] ახალი არტისტებია, რომელნიც ჯერ ტფილისში არა ყოფილანო.

## შეცდომის გასწორება

წერილში, „უძლური ბოროტება“ მოგვხდომია შემდეგი შეცდომები: დაბეჭდილია: აღარაფრითა ჰგავს; უნდა იყოს: არაფრითა ჰგავს. დაბეჭდილია: გიორგი წერეთელს, როგორც ლიტერატორისას, საზოგადო ასპარეზზედ მომქმედისას, უნდა იყოს: როგორც ლიტერატორს, საზოგადო ასპარეზზედ მომქმედს მოღვაწეს. დაბეჭდილია: მოტრფიალეა წოდებრივი კუდაბზიკობისა და იმ პრინციპისა, უნდა იყოს: კუდაბზიკობისა, იმ პრინციპისა, დებეჭდილია: „და ეს სიყვარული იხატება მეტად თავხედურს ბავშურს გაბედულობაში“. უნდა იყოს: თავისებურს ბავშურს გაბედულობაში.

## საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ქ. ტფილისში.

წარსულ კვირას წაკითხულს ლექციაში ბ-ნი ილია ფერაძე შეეხო ერთს ფრიად საყურადღებო საგანს—რუსულის ენის სწავლებას ჩვენს სკოლებში. ლექციას წინ წაუმძღვარა მოკლე, მაგრამ სინამდვილით აღნიშნული ცნობები საქართველოს მდგომარეობის რუსეთთან შეერთების დროს, რომლის შემდეგაც აუცილებელ საჭიროებად შეიქმნა რუსულის ენის შესწავლა ყველა ქართველთათვის, რომ უფრო მკვიდრად შეუერთდეს თავისს ერთ-მორწმუნე ერს. ბ-ნს ლექტორს კარგად აქვს წარმოდგენილი ის აზრი, თუ როგორ შეიძლება ნაყოფიერად სწავლება რუსული ენისა ჩვენს სკოლებში. მსმენელთა ყურადღება მიაქცია ჩვენი პატივცემულის პედაგოგის ი. გოგებაშვილის წიგნებზედ, როგორც საუკეთესო და ნიჭიერად შედგენილს სახელმძღვანელოებზედ. ამის შესახებ ბ-ნმა ილია ფერაძემ ბევრი ფრიად საგულისხმიერო და სასარგებლო აზრი გადასცა მასწავლებლებს, რომლებიც, სრული იმედია, სასარგებლოდ გამოიყენებენ ყველა აზრს, რაც-კი შეეხება რუსული ენის წესიერად სწავლებას სკოლებში.

ორშაბათს, 11 აგვისტოს, მასწავლებლების მიერ მიცემული იქმნა სანიმუშო გაკვეთილები საღმრთო სჯულისა, რუსულის ენისა, ქართულისა [illegible] შევნიშნოთ, რომ გაკვეთილების მიცემაში მასწავლებლები თანდათან დახელოვნდნენ და დიდი წარმატებაც ეტყობათ. სამს განყოფილებაში მეცადინეობა, რომელიც წინად შეუძლებლად მიაჩნდათ, ეხლა დიდს გასაჭირს არ წარმოადგენს. წინად თუ გაკვეთილების მიცემას, ცოტად თუ ბევრად, ერიდებოდნენ, ეხლა ყველა მზად არის მისცეს ასეთი გაკვეთილები. გაკვეთილების შემდეგ იწყება სანიმუშოდ მიცემულ გაკვეთილების გარჩევა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ყველა მასწავლებლები, ქალებიცა და ვაჟებიც. გაკვეთილების გარჩევის დროს ირკვევა არა ის წესები, რომელიც ხმარებულ იქმნა სანიმუშოდ მიცემულს გაკვეთილის დროს, არამედ სხვა კითხვებიც, რომელიც ასე თუ ისე შეეხება სწავლის საქმეს, ამისათვის გაკვეთილების გარჩევას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. რუსულის ენის გაკვეთილს, რომელსაც აძლევდა ქ-ნი ეგაძისა, დაესწრნენ საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი და რექტორი სემინარიისა მამა სერაფიმე. რუსულის ენის გაკვეთილმა კარგად ჩაიარა, განსაკუთრებით მეორე განყოფილებაში, სადაც მასალაც დამთავრებული აღმოჩნდა და მასთან მოსწავლეებმაც კარგად შეითვისეს საზოგადოდ დანიშნული მასალა.

იმავე დღეს მორიგი ლექცია წაიკითხა ბ-ნმა ილია ფერაძემ. ეს ლექციაც საყურადღებო და სასარგებლო იყო მასწავლებელთათვის. ბ-ნი ფერაძე შეეხო პრაქტიკულს და თეორიულს მხარეს, რომელიც შეეხება ბ-ნ გოგებაშვილის „Русское Слово“-ს ხმარებას სკოლებში. ლექტორმა მიაქცია მასწავლებელთა ყურადღება ყველა სავარჯიშოს, რომელიც მოთავსებულია ხსენებულის ავტორის წიგნებში და უჩვენა ყველა წესი სწავლებისა, თუ როგორ უნდა გაიარონ მასწავლებლებმა სავარჯიშოები თანდათანობის დაცვით, ზედმიყოლებით, რომ არ იქმნას დარღვეული არავითარი წესი დიდაქტიკისა. ამნაირად გაცნობა სახელმძღვანელო წიგნებისა დიდს სარგებლობას მოუტანს მასწავლებ- [illegible] მასწავლებელს პირველად ესმის ის ღირსებანი ჩვენის პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის წიგნებისა, რომელსაც ლექციაზედ ისმენენ, ამიტომ ის წესი, რომელიც შემოიღო ბ-ნმა ილია ფერაძემ მასწავლებელთათვის სასწავლო წიგნების ზედმიწევნით გასაცნობლად, საუკეთესო საშუალებად მიგვაჩნია, რომ მასწავლებელთ ჰქონდეთ სადი შეხედულობა, როგორც სასწავლო საგანსა, ისე მისთვის საჭირო სახელმძღვანელოებზედაც.

არ შეგვიძლიან აქვე არ მოვიხსენიოთ ერთი გარემოება, რომელიც შეეხება რუსულის ენის სწავლებას ჩვენს სკოლებში. ბ-ნმა ილია ფერაძემ თავისს ლექციაში მოიხსენა, რომ რუსულის ენის სწავლება სასწავლო გეგმის მიხედვით უნდა იწყებოდეს. პირველის წლის პირველ ნახევრიდგან ლექსიურად, იანვრიდგან-კი, ე. ი. პირველის წლის მეორე ნახევრიდგან, რუსული წერა-კითხვა უნდა იქმნას დაწყებულიო. თუ რამდენად სასარგებლოა თვით რუსულის ენისათვის ამ ნაირად სწავლება, ამ საკითხს პატივცემული ლექტორი არ შეეხო, რადგანაც ამ ნაირად რუსულის ენის სწავლება რამდენიმე ხანი შემოღებული ყოფილა სამრევლო სკოლებში; და თუ რა შედეგი მოჰყვა ასეთს სწავლებას, გამოცდილების და დაკვირვების საქმეა. საკითხი ამ საგნის შესახებ ამ დღეებში უნდა გადასწყდეს მასწავლებელთა კრებაზედ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უმეტესი რიცხვი მასწავლებლებისა იმ აზრისანი არიან, რომ ამ ნაირად სწავლებით პირველს წელიწადს, როდესაც ბავშვის გონებას, ჯერ კიდევ ნორჩს, ავკიდებთ ისეთს მძიმე ტვირთს, რომლის ატანა მისთვის სიძნელეს წარმოადგენს, ვერ ვხედავთ შესაფერისს და სასურველს შედეგს—წლის დასასრულს ბავშვები ვერ იჩენენ საჭირო ცოდნას ვერც რუსულისას და ვერც სხვა საგნებისასაო. ამიტომ ფრიად სასურველია, რომ ეს საკითხი სინამდვილით იქმნას გამორკვეული იმ საგანგებო კრებებზედ, რომელიც ამ დღეებში უნდა იქმნას გამართული იმ აზრით, რომ სამრევლო სკოლები იქმნას დამყარებული წესიერსა და [illegible] იმედია, რომ ბ-ნი ნიკოლოზ გაბრიელის ძე ტატიშვილი, მეთვალყურე სამრევლო სკოლებისა, რომელიც თავგამოდებით იღვწის ხსენებულის სკოლების კეთილ ნიადაგზედ დამყარებისათვის და რომლისათვის არ ზოგავს არავითარ ძალღონეს, განსაკუთრებულს ყურადღებას მიაქცევს სახელმწიფო ენის წესიერად სწავლების საქმეს სკოლებში. ამ საქმის სასარგებლოთ გადაწყვეტის დროს დიდი ხმა უნდა მიენიჭოს თვითონ მასწავლებლებს, რომელთაც გამოცდილებით იციან, თუ რა ზარალი მოჰყვება სახელმწიფო ენის ურიგოდ და უდროოდ სწავლების დაწყებას.

განსაკუთრებულს სხდომაზედ ბ-ნს ტატიშვილს აზრად აქვს აღძრას ბევრი სხვა საგანიც, რომელიც, ასე თუ ისე, შეეხება სკოლების კარგად მოწყობის საქმეს, მაგრამ ყველაზედ უფრო საჭირო და სასურველ საგნად ჩვენ სკოლებში რუსულის ენის წესიერად სწავლება მიგვაჩნია, რომელსაც, იმედია, ყველა შეგნებული, ვინც მონაწილეობას მიიღებს ამ საქმეში, მართალს და უტყუარს გზას დაადგება და ამით დიდს სარგებლობას მოუტანენ როგორც თვით რუსულის ენის სწავლებას, აგრეთვე ბავშვების წესიერად აღზრდა-განვითარებასაც.

მოკეთე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. მეჯრუხევი.** ზაფხულობით მეჯრუხევი მოძრაობაში მოდის ხოლმე, რადგან ამ დროს მოსწავლე ახალგაზრდობა თავს იყრის და რამდენჯერმე ჰმართავენ წარმოდგენას საქველ-მოქმედო აზრით. ამ ზაფხულსაც ორჯელ გამართეს წარმოდგენა, ორჯელვე საქველ-მოქმედოდ: პირველი (მკათათვეში) მეჯრუხევის წიგნთ საცავის სასარგებლოდ და მეორეც—6 ამ თვეს ერთის მოსწავლე ყმაწვილის სასარგებლოდ. ამ უკანასკნელს წარმოდგენაში იღებდა მონაწილეობას დროებით მოსული ახალგაზრდობა, რომელთაც სთხოვეს მეჯრუხევის ახალგაზრდობას დახმარება წარმოდგენის გამართვაში. მეჯრუხევის ახალგაზრდობა კვლავინდებურად მხნედ და აღტაცებით მიეგება იმათს თხოვნას და მიიღეს მხურვალე მონაწილეობა, იხმარეს ყოველი ღონისძიება, რათა ესიამოვნებინათ წვეულნი სტუმარნი და თვით საგანიც აღსრულებაში მოეყვანათ. როგორც კვლავ ყოველთვის, ისე ეხლაც წარმოდგენას ჰმეთაურობდა მეჯრუხევის საზოგადოებაში ცნობილი ქველ-მოქმედი კნ. ეკატერინე ერისთავისა, ყოველივე ღონისძიება იხმარა, რომ საქმე კარგად დაეგვირგვინებინა და მართლაც მისმა და ახალგაზრდობის გულ-მხურვალე ცდამ (მონაწილეობამ)

---

რგვინი, მისი ტახტი. ხალხს მეტის მეტად შესძულდა ბაგრატ მირზა, რომელიც მხოლოდ სახელით იყო მეფე და ჭამა-სმისა და ქეიფის მეტს არას აკეთებდა. ხალხის გაჭირვება იმან არ იცოდა, მისის წყლულის მორჩენას არა სცდილობდა. დრო მისის მეფობისა ქართლში იყო დრო უსამართლოებისა, დრო ცრემლისა. მეფე ტფილისში სცხოვრობდა, მეტეხის სამეფო სახლში, და ათასობით დარაჯები ჰყავდა სახლის გარშემო დაყენებული, რადგან ხალხის აჯანყებისა ეშინოდა. დაჩაგრულს არ შეეძლო მისგან რაიმე ნუგეში მიეღო; ან კი ვინ მიუშვებდა მეფემდის მომჩივანს?! მისი დამრიგებელი, მისი ჭეშმარიტს გზაზედ დამყენებელი არავინ იყო.

ბაგრატ-მირზა მხოლოდ მაშინ მოეგო ცოტა ჭკუას, როცა ერთხელ მიიღო ბოლნელის მღვდლის მამა პეტრეს წერილი, რომელშიაც ის უხატავდა მეფეს ქართლის გაჭირვებულს მდგომარეობას და ბრძნულად ურჩევდა დაჩაგრულის ხალხის მოსარჩლე, მისი მფარველი გამხდარიყო. მამა პეტრე ფრიად განათლებულ და სათნო ადამიანად ითვლებოდა იმ დროს. მშვენივრად იცოდა ექიმობა და ამ ცოდნას ხალხის კეთილ დღეობას ახმარებდა. განსაკუთრებით დიდი სახელი გაითქვა მამა პეტრემ შაჰ-აბაზის პირველის შემოსევის შემდეგ. შრომისათვის სასყიდელს არ იღებდა პატიოსანი მოძღვარი, რომელიც ხშირად ამბობდა: „ჩემთვის საკმაოა ხმელი ლუკმა პური და წყალი საზრდოდ, უბრალო ტანისამოსი ჩასაცმელად. სხვას მე არას დავეძებ. სიმდიდრე არა მსურს, ოღონდ გულით, ოღონდ კეთილის საქმით ვიყო მდიდარი“. ვინ მოსთვლის, რამდენს ომში დაჭრილს დაუბრუნა სიცოცხლე მამა პეტრემ თავისის ექიმობით, რამდენი სული ლოცულობდა მისთვის წინაშე ღვთისა?!.

ბაგრატ-მირზა ძლიერ დააფიქრა მამა პეტრეს წერილმა და საიდუმლო სინანული აღუძრა. დაწვრილებით ამ წერილის შინაარსი ისტორიამ არ გადმოგვცა.

II

სექტემბრის დილაა. მზე ჯერ სრულის ძლიერებით არ გამოჩენილა. ტფილისიდგან კახეთისაკენ მიმავალს გზაზედ ერთი გლახაკი მიდის, ხელში ბლის დიდი ჯოხი დაუჭერია, თავზედ წაკრული აქვს მწვირიანი თავშალი, ტანზედ დაგლეჯილი ახალუხი და ჩოხა აცვია და ფეხებზედ-კი გაცვეთილი ქალამნები; პირის სახე მთლად გამურული აქვს, ზურგზედ გუდა ჰკიდია და მიდის წელში ცოტათი წახრილი. სახე მოღვრემილს, ღრმად ჩაფიქრებულს გლახაკს ემჩნევა, რომ რაღაც საიდუმლო ნაღველი მძიმე ლოდსავით გულზედ დასწოლია. ტფილისიდგან სამი ვერსის მანძილი გაიარა და შეხვდა სამს გლეხსა, რომლებიც ერთის მაღალის ხის ქვეშ დამსხდარიყვნენ და რაღაზედაც მუსაიფობდნენ.

— გამარჯობა თქვენი! უთხრა გლახაკმა.

— გაგიმარჯოს. სადაური ხარ?! ან რა გქვიან?!

— სურამელი, თქვენი ჭირიმე, ბატონს გამოვექეცი. მათხოვრობით ვირჩენ თავს. სოლომონი მქვიან.

— ჰაი ბეჩავო! სთქვა ერთმა გლეხთაგანმა. ცუდი დრო დადგა. ქართველი კაცი და მათხოვარი?! იშრომე, ჩემო ძმაო! მაჯა ღმერთს გარჯისათვის მოუცია და მათხოვრობას თავი დაანებე.

— ორივე ხელი სიდამბლისაგანა მაქვს გაფუჭებული და მუშაობა არ შემიძლია.

— ჰაი, ჰაი, სთქვა მოსაუბრე გლეხმა.—მართლაც, რომ დროება წახდა. ხეირი აღარ არის, მეფე ჩვენ არ გვივარგა და ხალხიც გაირყვნა.

— აგერ, მამა პეტრეც მობრძანდება, სთქვა მეორე გლეხმა.

ამ დროს გლეხებს მოუახლოვდა ორის მხლებლით ერთი ზორბა ტანის მღვდელი, რომლის გრძელს ცოტათი შეჭაღარავებულს წვერს დილის ნიავი არხევდა. ის სუფთად და უბრალოდ იყო ჩაცმული. მღვდლის სახის ბრძნული გამომეტყველება ამტკიცებდა, რომ თავისი სიცოცხლე ხალხის კეთილდღეობისთვის ჰქონდა გაწირული. გლეხებმა და გლახაკმა მღვდლისაგან შენდობა აიღეს და ყველანი ხის ქვეშ დასხდნენ.

— რასა იქმთ, შვილებო! ჰკითხა მამა პეტრემ გლეხებსა წყნარის ხმით.

— რაღა რასა ვიქმთ, შენი მუხლის ჭირიმე, მიუგო ერთმა გლეხმა —სოსემ: ჩვენი საქმე ძლიერ ცუდად მიდის, ძილი ჩვენ აღარა გვაქვს და მოსვენება... მეფე ბაგრატ-მირზაა— და ყაენის ჩვარია... სჯულზედ ხელაღებულის კაცისგან რა სიკეთეს უნდა მოელოდე?! თან ახლავს სპარსელები და ზოგიერთი ჩვენი თავადაზნაურები, რომლებიც მეფის სახელით ათასნაირს ცუდს საქმეს შვრებიან. სათქმელადაც ძნელია ის, რასაც ისინი სჩადიან: თვალ და თვალ ქმარს ცოლსა სტაცებენ და უპატიურებენ; გასათხოვარს ქალებს ნამუსსა ხდიან... გაიგებდი მამაო, რომ გაბოს, იმ უბედურს, გზაზედ მოჰყავდა ურმით ცოლშვილი და მის გასათხოვარს ქალს ნატოს ნამუსი ახადეს. საბრალო გოგო ჭკუიდგან შე-

თავისი ნაყოფი მოიტანა: წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა და შემოსავალიც მალიან კარგი იყო.

6 ამ თვეს წარმოადგინეს „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდნენ“, სრულიად უნაკლულოდ თავ-თავისი როლები მ. ლო—ძემ და ქ-ნმა მელანია ა. ხახ—შვილმა. კარგად თამაშობდნენ აგრეთვე გ. ხმა—მე, ქ ნი ვერა ლო—მე და სხვ. წარმოდგენის შემდეგ წაკითხულ იყო სურათი გლეხთა ცხოვრებიდამ გ. ხა—შვილისაგან. შემდეგ ამის დადგმული იყო ცოცხალი სურათები ბენგალის ცეცხლით განათებული ი. ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებული“-დგან.ამ სურათებმაც ასიამოვნა საზოგადოება, მერე დაიწყო სიმღერები.სასიამოვნო სანახავი იყო ახალგაზდობა, ქუდაჯებში გამოწყობილი, რომელნიც ტკბილად და სასიამოვნოდ ასრულებდნენ ქართულს სიმღერებს. მეტადრე გ. მაყ—შვილმა მიიზიდა საზოგადოების ყურადღება თავისის ტკბილის ხმით და მრავალჯერ გამოიწვიეს იგი ტაშის კრით, ამავე საღამოს აშვებული იყო მრავალჯერ შუშხუნები, მომზადებული ერისთავის ყმაწვილებისაგან. გამართული იყო ბუფეტი, რომლის შემოსავალმა ხარჯი დაჰფარა. ამისთანა მხიარული და კარგი წარმოდგენა მეჯრუხეგში ჯერ არ გამართულა.

საზოგადოება დიდის სიამოვნებით დაიშალა. დიდს მადლობას უცხადებდნენ ახალგაზდობას. საზოგადოდ მრავალჯერ ხდება ხოლმე, რომ ჭმართავენ წარმოდგენებს, იღებენ ფულს საზოგადოებისაგან და, სიამოვნების მაგივრად, შეწუხების მეტს ვერას იღებენ ხოლმე. აქ კი ასე არ იყო: ახალგაზდობამ ყოველი ღონისძიება იხმარა ესიამოვნებინა მაყურებლნი და მართლაც შეასრულეს ყოველივე ეს: ამოდენა ხალხი არასოდეს არა ყოფილა და ყველა თანაბრად კმაყოფილი იყო წარმოდგენით. წარმოდგენიდგან სრული შემოსავალი ხარჯს გარდა 86 მან. დარჩა და დანიშნულებისამებრ მეორე დღესვე გაჰგზავნეს ფული.

ხუჩა

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთ „Кавк.“-ში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ ჯ—სა, კახეთის რკინის გზის მიმართულების შესახებ. ავტორი წერილისა ამბობს, რომ გაზეთებში ბევრი თქმულა იმაზედ, რა გზით და რა ადგილებზედ უნდა გაიაროს რკინის გზამაო და თითონაც მოჰყავს თვისი პროექტი. ბ-ნ ჯ—ი სწერს:

„ყველაზედ მოკლე, სწორე და გამოსადეგი გზა მაშინ იქნება, თუ ასე გაკეთდა: ტფილისიდგან (ან ყარაიაზიდგან) საგარეჯოზე, მერე კაჭრეთზე, არბოშიკზე, ტიბაანზე, ყარაგაჩზე, მუღანლოს ხიდზე (ალაზანზე) და შემდეგ ალიაბადზე და კახზე. ამ გვარად მთელი გზა არ აღემატება 270 ვერსს. თუ მოისურვეს, შეიძლება კახი შეუერთონ რკინის გზით სადგურ ევლახს (სულ 70 ვერსი იქნება). ეს გზა გაივლის სიღნაღისა, წინანდლისა და ნუხის მაზრებზედ და მხოლოდ თელავის მაზრას აუქცევს გვერდს.

თუ ეს გზა არ მოიწონესო, ამბობს იგივე ბ-ნი ჯ—ი, და მოინდინეს თელავის მაზრაზედ რკინის გზის გაყვანა, მაშინ ცოტა ხარჯი მოემატება „ცივი“-ს მთაზედ გზის გასაყვანად და საგარეჯოდგან გზა გაივლის ალაზნის ველზედ და შემდეგ ტიბაანზე და კახზე ევლახამდე. ეს გზა უფრო მეტად სასარგებლო იქნება და თელავის მაზრასაც გამოადგება.

## რუსეთი

—

გზათა მინისტრის განკარგულებით აგვისტოს დამლევს სახელმწიფო რკინის გზათა სამმართველოში საგანგებო კომისია იქმნება მოწვეული რკინის გზათა ადგილობრივ გამგეობის 1898 წლ. ხარჯთ აღრიცხვის განსახილველად. კომისიაში ფინანსთა სამინისტროსი, სახელმწიფო კანტროლისა და რკინის გზათა წარმომადგენელნი მიიღებენ მონაწილეობას.

— გზათა სამინისტროს 7,500 უფასო ბილეთი დაურიგებია საერთაშორისო სამკურნალო მე-XII კრების წევრ ექიმებისათვის რუსეთის რკინის გზებზედ მათ საცხოვრებელ ადგილიდგან მოსკოვამდე სამოგზაუროდ.

— საერთაშორისო რკინის გზათა კონფერენციაზედ დასასწრებლად, რომელიც სექტემბერში იქმნება ამსტერდამს მიწვეული, რკინის გზათა და ფინანსთა სამინისტრონი თავისს წარმომადგენლებს ჰგზავნიან. კონფერენციის სხდომებს საერთაშორისო მიმოსვლათა გამგე ლ. პ. პერლიც დაესწრება.

— რუსეთის რკინის გზებზედ ახალის ელევატორებისა და საწყობ შენობების გამართვის საქმე შემოდგომაზედ სრულიად გარდასწყდება.

— კერძო რკინის გზათა და კერძო კაცთა შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ რკინის გზის ახალი ლიანდაგები გაიყვანონ სხვა-და-სხვა ადგილას, შემოდგომაზე განიხილავს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საგანგებო კომისია.

— ივლისის დამლევიდგან პეტერბურგში მრავალი ახალგაზდობა იკრიბება უმაღლესს სპეციალურს სასწავლებლებში საკონკურსო ეგზამენების დასაჭერად. გზათა ინჟენერების ინსტიტუტში თხოვნების მიღება 1-ლ აგვისტოდგან უკვე შეწყვეტილია. 100 თავისუფალს ადგილზედ 600 ახალგაზდა დაიჭერს საკონკურსო ეგზამენს. მეორე კურსზედ ხუთი თავისუფალი ადგილია და თხოვნა-კი 20 მიცემული. ეგზამენის დამჭერნი 6 ჯგუფად იქმნენ გაყოფილნი, პირველი 3 ჯგუფისათვის გამოცდა 14 აგვისტოდგან დაიწყება, დანარჩენთათვის—19 აგვისტოდგან. სამთო ინსტიტუტშიაც მრავალი მთხოვნელია ამ წელს. 1-ლს კურსზედ სულ 50 ადგილია თავისუფალი (8 ამათგანი უმაღლესს სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთათვის), ინსტიტუტში შესვლის მსურველი 900 ია. თხოვნებს 10 აგვისტომდის კიდევ მიიღებენ. სამოქალაქო ინჟენერთა ინსტიტუტში 40 თავისუფალს ადგილზედ 300 მთხოვნელია. მისაღები ეგზამენები 16 აგვისტოს დაიწყება. სატეხნოლოგო ინსტიტუტში 1-ლს კურსზედ 123 თავისუფალი ადგილია, საკონკურსო ეგზამენების დაჭერის უფლება 700 კაცმა მიიღო. თხოვნების მიღება 10-დგან შეწყვეტილია. ეგზამენები 16 აგვისტოს დაიწყება.

— საერთაშორისო გეოლოგოსთა მე-VII კონგრესის წევრთა რიცხვმა შესამჩნევად იმატა. ამ ჟამად 948 კაცია ჩაწერილი წევრად, ბევრი კიდევ აცხადებენ წევრობის სურვილს. რუსთაგანი ამ ჟამად სულ 250 კაცია.

— სახალხო საიმპერატორო წიგნთსაცავის სამკითხველო დარბაზის შენების საქმე წინ მიდის. ამ ზაფხულს შენობა ჩარდახამდე იქმნება აყვანილი. წიგნთ საცავის ეზოში უკვე დასრულებულია ფლიგელი, რომელშიაც წიგნთ-საცავის მსახურთ უნდა იცხოვრონ.

— ფინანსთა სამინისტროსთან საგანგებო კომისია იქმნება მოწვეული რუსეთში პურით ვაჭრობის საქმის განსახილველადა და განსაკარგებლად.

## უცხოეთი

—

**ავსტრია და ბოლგარია.** გუშინ ჩვენ მოხსენებული გვქონდა ავსრრიისა და ბოლგარიის შორის შეტაკების ამბავი და დაწვრილებით ნაამბობი იყო ამ შეტაკების მიზეზი. როგორც მაშინაცა ვსთქვით, გაზეთებმა დიდი ალიაქოთი ასტეხეს ამ ამბის გამო და ბევრი ომსაც მოელოდა, მაგრამ ბოლგარიის საბედნიეროდ, როგორც უკანასკნელი დეპეშა იუწყება, საქმე მშვიდობიანად დასრულდა. აი რასა სწერს გაზ. „Abendpost“-ი: „ბოლგარიის მინისტრ-პრეზიდენტის სტოილოვის მინდობილობით, დღეს ვენის გარეშე საქმეთა სამინისტროში მივიდა ბოლგარიის აგენტი სამადლიევი და სოფიიდგან მიღებულის დარიგებით ფორმალურად განაცხადა, რომ ბერლინის გაზეთ „Localanzeiger“-ში დაბეჭდილი სტოილოვისა ჰობურგელის კორესპოდენტთან ნალაპარაკევი ძლიერ დამახინჯებულიაო. ავსტრი-უნგრეთისა და საიმპერატორო სახლის შეურაცხყოფა სტოილოვს სრულიად არა ჰქონია აზრად. ამიტომ სტოილოვი დიდადა სწუხს იმ ნალაპარაკევის გამოქვეყნებას, რომელიც იმას არ ეკუთვნის და რომელიც სრულიად არ შეეფერება იმისს აზრ-შეხედულებასაო. იმის მიზეზად, თუ რად დააგვიანა ბოლგარიის მთავრობამ თავის გამართლება, დასახელებულია ის, რომ სტოილოვი ამ დროს ქ. სოფიაში არ იყო და ყოველივე ამბავი ამ საქმის შესახებ გვიან შეიტყო და რადგანაც საქმე მეტად საყურადღებო იყო, იმი გამორკვევა სტოილოვმა სოფიაში დაბრუნებამდე გადასდოო. უნდა ვიფიქროთ, ამ ოფიციალური განმარტებით, რომელიც სრულებით აკმაყოფილებს ავსტრი უნგრეთის მთავრობას, ყოველივე მოსალოდნელი უთანხმოება და შეტაკება ავსტრი უნგრეთისა და ბოლგარიის შორის მოსპობილი იქმნება.

—

**ოსმალეთი და საბერძნეთი.** ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ზავის საქმე ამ ბოლოს დროს მიყუჩდა. გაზ. „Pesster Lloyd“-ის სიტყვით, ჯერ არავინ იცის, როგორ დასრულდება იგი, რადგანაც ოსმალეთს არას გზით არ უნდა თესალია განათავისუფლოს, ვიდრე სამხედრო ჯილდოს რამოდენიმე ნაწილს არ მიიღებს, და საბერძნეთი-კი ყველას არწმუნებს, რომ ვერ მივცემ საჭირო ფულს ოსმალეთს, ვიდრე ჯარს არ დავითხოვო; ჯარის დათხოვნა-კი მაშინ შეიძლება, როდესაც ოსმალეთი თესალიიდგან თავის ჯარს გაიწვევსო. მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება ვერაფერი გამამართლებელი საბუთიაო, ამბობს გაზეთი, ომი დიდი ხანია დასრულდა და საბერძნეთს თამამად შეუძლიან თავისი ჯარი დაითხოვოსო.

— ამავე დროს ათინიდგან სწერენ გაზ. „Politische Correspondenz“-ს: „საბერძნეთი ძალიან მოწადინებულია ისესხოს ლონდონისა, პარიჟისა და მარსელის ბერძენ კაპიტალისტებიდგან 25 მილიონი ფრანკი სამხედრო ჯილდოს პირველ გარდასახადის გასასტუმრებლად. ჯერ-ჯერობით მთავრობას 15 მილიონი აქვს ნაშოვნიო“.

—

**კრიტი.** კრიტიდგან იუწყებიან, რომ ჯევად-ფაშამ თან-და-თან ხელში ჩაიგდო კრიტის მართვა-გამგეობის საქმე. ოსმალეთს აზრადა აქვს კრიტის წყლებში ახალი ესკადრა გაჰგზავნოსო.

## დამაკვირდი

სასჯელი ყველას მისდევს უკან, მხოლოდ იშვიათს-კი მოეწევა ხოლმე.

მარიამ ებნერ-ეშენბახი

***

იშალა და ახლა შინ დაბმული ჰყავთ მშობლებსა. თითონ გაბო კაი ვაჟკაცია, ომში სწორედ ღვთის რისხვა იყო მტრისთვის; ის უბედური დღეს ავად არის; პარსებმა მძიმედ დასჭრეს, მარჯვენა მკლავს ველარ ხმარობს. ერთობაც აღარ ირის, მამაო, ერთობა, ნამუსი გაქრა, პირის წყალი გაშრა.ოხ,ღმერთო! შენა ჰკითხე ბაგრატ-მირზას და გადაახდევინე სამაგიერო, თუ ის დანაშაული იყოს ჩვენს უბედურებაში!

— ღმერთო, შენა ჰკითხე და გადაახდევინე—სთქვა გლახაკმაც.

— შვილებო! ღმერთი მოწყალეა! მართლა, რომ დღეს ერთობა აღარ არის. სამარეში დაიმარხა ის კურთხეული ერთობა, რომელმაც საქართველო ამამაღლა და აღაყვავა დავითის, გიორგისა და თამარის დროშის ქვეშ! ვიცით, რომ დღეს ძლიერს ცუდს მდგომარეობაშია სპარსთა ძლავრობის გამო საყვარელი ჩვენი მამული, მაგრამ ამით გულს ნუ გავიტეხთ. ბევრჯელ უნახავს საქართველოს ასეთი შავი დღეები, მაგრამ ის მაინც არ დაღუპულა.

— იმედი კარგი რამ არის, მაგრამ ის ბაგრატ-მირზა-კი ცუდი მეფეა,—სთქვა სოსემ.

— ცუდი მეფეა და ცუდს ცუდი ბოლო მოელის. უსამართლოებით სოფელი არავის მოუჭამია. უნამუსო ადამიანი იგივე ღორია. საქმე სიცოცხლის ბოლოა. ღმერთო! შენ დაამყარე ბაგრატ-მირზა ჭეშმარიტების გზაზედ. გარწმუნებთ, რომ კიდევ ვამხელ, წარვსდგები იმის წინაშე ისე, როგორც ნათან წინასწარმეტყველი წარსდგა დავით მეფის წინ. ვისურვებ, რომ დავით მეფეს სინანული აღძვროდეს გულში. ვნახოთ, წერილი გავუგზავნე და ვნახოთ რას იზამს?!. ვისურვებ, რომ ცოდვა შეენანებინოს.

— მეც ვისურვებ, მამაო სთქვა გლახაკმა.

— აბა, შვილებო, მეჩქარება... პანაშვიდი გადავუხადოთ მიცვალებულებს... გაბოც მინდა ვნახო, თქვენს სოფელში სხვა სნეულებიცა მყავს სანახავი და მოსავლელი.

მოძღვარი, მისი ორი მსახური და გლეხები მივიდნენ იქვე ხის ახლოს, აზურგულს მიწასთან, რომელზედაც მწვანე ბალახი იყო ამოსული და ნიავის მობერვაზედ საამურად ბიბინებდა. ამ აზურგულ მიწის ქვეშ იყო ერთად დასაფლავებული რამდენიმე გლეხი ძმურს სასაფლაოში. მათ შაჰ-აბაზსთან ომში იგემეს ბრძოლის ველს სიკვდილი სახელოვანი. ამ ბრძოლას მოჰყვა ბაგრატ-მირზას გამეფება ქართლში, მათი გმირული თავ განწირულება სოფლებმა არ დაივიწყეს და დღეს გამოჰგზავნეს სამი გლეხი „საკურთხით“ მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად. სოფლელებს სურდათ, რომ პანაშვიდი მიცვალებულებისათვის გადაეხადა იმ მღვდელს, რომელიც ჯარს ამხნევებდა ჯვრით ხელში შაჰ-აბაზსთან ბრძოლის დროს. ამიტომაც გაგზავნილებმა მოიწვიეს მამა პეტრე პანაშვიდის გადასახდელად.

დაიწყო პანაშვიდი. გლეხები თვალცრემლიანი ისმენდნენ მღვდლის მხლებლებისაგან მკაფიოდ ნათქვამს სულის მოსახსენებელს სიტყვებს. იმათი ნაღვლით სავსე გალობა არემარეს გლოვის ზარის ხმასავით ეფინებოდა. მთელი ბუნება ამ დროს მიყუჩდა, გლეხები მოკრძალებით იწერდნენ პირჯვარს. მათხოვარს მდუღარე ცრემლები სცვივოდა თვალთაგან.

პანაშვიდის გათავების შემდეგ გლახაკმა უეცრად დაიჩოქა და უთხრა მამა პეტრეს:

— ეჰ, ვხედავ, მამაო, უფლის მადლით შემოსილი ხარ, შემინდე ჩემი ცოდვები.

— შეგინდოს მოწყალე მაცხოვარმა ცოდვები ნებსითნი და უნებლიეთნი, სიტყვითნი, საქმითნი ® მოგონებითნი ლმობიერად უთხრა მოძღვარმა. გლახაკის თვალთაგან მსხვილ-მსხვილი ცრემლი ტყვიასავით გორდებოდა და მიწას ეწვეთებოდა. შემდეგ გლახაკი დაჯდა და გაშტერდა... მიზეზი მისის მწუხარებისა და გაშტერებისა იქ მყოფთ ვერ გაიგეს, მხოლოდ მიხვდნენ, რომ მის გულს მძიმე ცოდვა ლოდივით აწევს და ჰსურს მორეცხოს იგი სინანულის ცრემლითა.

— ახლა-კი დროა, შვილებო, წავიდეთ! ღამის ხადილობა მოვიდეს, საღამოზედ გაბოსთან მოვალ. მშვიდობით, შვილებო, თქვენ თქვენს საქმეს გაუფრთხილდით. იმხნევეთ, იშრომეთ, ღმერთი მოწყალეა! შენც საყვარელო შვილო, გლახაკად წოდებულო, სულითნუ დაეცემი. ბოლნისში ჩემთან მოდი, ეგებ ლუკმა გაგიჩინო რამე. სთქვა ეს მოძღვარმა და გზას გაუდგა.

— აი, სწორედ ეგ არის ღვთისნიერი კაცი და ნამდვილი მოძღვარი! უფლის მადლს მაგის გულში დაუსადგურებია, საღმრთო სიყვარული სისხლად და ხორცად აქვს გადაქცეული! სთქვა გლახაკმა.

— ოლონდაც, რომ ნამდვილი მოძღვარია, ვენაცვალეთ მაგას სულში! დაუმატეს გლეხებმა.

ფარი

(შემდეგი იქნება)

სინანული სიკვდილის პირად იშვიათად გაასწორებს ხოლმე შეცდომას.

იუნიუსი

***

ერთის მოძმისა და თანამემამულის გადარჩენა უფრო დიდი კეთილშობილებაა, კიდრე ათასის მტრის აღხოცვა.

ბოსსუეტი

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ქაირის მახლობლად უპოვნიათ ერთი ძველი ხელთ-ნაწერი, რომელიც, სულ ცოტა 3,000 წლის წინად არის დაწერილი. ამ ხელთ-ნაწერიდგანა სჩანს, რომ ამ ქვეყანაში უწინდელ დროს კაცი-ჭამიები სცხოვრობდნენ. საყურადღებო ის არის, რომ ეს ხალხი მარტო ხელ-ფეხსა სჭამდა ადამიანისას. გარდა ამისა, ეჭვი არ არის, რომ ეს ხალხი ადამიანის ხორცის ჭამით ვითომ-და პატივსა სცემდნენ მიცვალებულს. ინგლისელი მეცნიერი ფლინდერს პეტრი შეუდგა იმის გამოკვლევას, რადა და რა აზრით სჭამდა უწინ ხალხი ადამიანის ხორცს. ზოგი იმისთვის სჭამდა კაცის ხორცს, რომ ამით დაემტკიცებინა სიყვარული და პატივისცემა მიცვალებულისადმი. კაცი-მჭამელთა შორის ყოველ ას კაცზედ მოიძებნა 20 კაცი ანუ 20°/₀, ვინც ზემოხსენებულის აზრითა სჭამს ადამიანის ხორცს. ასეთნი არიან ავსტრალიისა დ სამხრეთ ამერიკის მცხოვრებნი კაცი-ჭამიები. ესენი თურმე ამბობენ: „ათას წილად მირჩევნია სიცოცხლე ჩემი დასრულდეს მეგობრის კუჭში, ვიდრე შავს მიწაშიო“. უწინდელ დროს მასაგეტები თვისის მეგობრებისა და ნათესავების გვამის შეჭმას ამჯობინებდნენ მიწაში დამარხვას. სხვები კიდევ სხვა მოსაზრებითა სჭამენ ადამიანის ხორცს. ზოგი ომში მოკლულ კაცის ხორცსა სჭამს, რომ ამით მოკლულის სიმამაცე შეიძინოს, ზოგი გარდაცვალებულის ბავშვის ხორცსა სჭამს და ჰფიქრობს, ამით ახალგაზდობას დავიბრუნებო. ზოგსა სწამს—ადამიანის ხორცი რომ ვჭამო, ამით ჩემს ღმერთებს პატივსა ვსცემ და ვასიამოვნებო; ზოგი თვისის მტრის ხორცს სჭამს, ვითომ ამით დავსაჯო მტერი და გული მოვიოხოვო. ზოგს შიმშილი აწუხებს და სხვა საჭმელი რომ ხელთ არა აქვს, ადამიანის ხორცზედაც უარს არ ამბობს, მოკლედ რომ ვსთქვათ, ზემოხსენებულის მეცნიერის ანგარიშით, ადამიანის ხორცის მჭამელთა შორის 100 კაციდგან 46 იმიტომა სჭამს კაცის ხორცს, რომ შიმშილი მოიკლას და 54 ე. ი. ნახევარზედ მეტი—სულ სხვა მოსაზრებით.

***

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ორი სხვა-და-სხვა შინაური ცხოველი ან ფრინველი დამეგობრდნენ. ეს არც თუ ისეა საკვირველი. უფრო საკვირველია და უფრო იშვიათად მოხდება, რომ ორი გარეული ცხოველი ან ფრინველი დამეგობრდეს. ერთს ასეთს იშვიათს ამბავს იწერებიან ინგლისიდგან. ერთს ტბასთან სცხოვრობდნენ დედალ-მამალი იხვი. მამალი მოჰკლეს. მარტოდ დარჩენილი დედალი იხვი დიდხანს დახეტიალობდა ტბის მახლობლად და თითქოს მეუღლეს დაეძებდა. ერთხელ ეს იხვი შეხვდა ქედნებს და ძლიერ დაუმეგობრდა. ქედნებმა სიამოვნებით მიიღეს ეს იხვი და ისე შეითვისეს, რომ თავიდგან აღარ იშორებდნენ. იხვი ქედნებს ყველგან თან დასდევდა, მათთან ერთად სჭამდა და სვამდა. მხოლოდ საღამოთი ქედნები ხეებზედ სხდებოდნენ და იხვი-კი ლერწამს მიაშურებდა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 აგვისტო

**ახალი პეტერგოფი.** 11 აგვისტოს, დილის $9^1/_2$ საათზედ, ხელმწიფე იმპერატორი დიდის მთავრის ალექსი ალექსანდრეს ძის, გარეშე საქმეთა მინისტრის და სხვა ამალითურთ პეტერგოფიდგან „ალექსანდრიის“ გემით კრონშტატის პატარა ნავთ-სადგურში წაბრძანდა. მის უდიდებულესობასთან ერთად წავიდნენ გენერალი ბუადეფრი და საფრანგეთის ელჩი გრაფი მონტებელლო. ხელმწიფეს რუსეთის საზღვაო ტანისამოსი ეცვა, საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენი და ვარსკვლავი წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ჰქონდა გაკეთებული. დასახვედრად წავიდნენ აგრეთვე ზღვათა სამინისტროს გამგე ვიცე-ადმირალი ტირტოვი და მთავარ-საზღვაო შტაბის უფროსი ვიცე-ადმირალი აველანი.

**კრონშტატი.** დიდი და პატარა ნავთ-საყუდლები ბაირაღებით შემკულის გემებით სავსეა. გემებზედ მრავალი ხალხია. 9 საათსა და 27 წამზედ კრონშტატის დიდ ნავთ საყუდლიდგან საფრანგეთის ჯავშნიანი გემი „პოტიუო“ გამოჩნდა. გემზედ საფრანგეთის პრეზიდენტის დროშა იყო ამართული. სამხედრო გემებზედ ზარბაზნები დასცალეს. გაისმა „ურა“-ს ძახილი-და აღტაცებული „ვივ ლაფრანს“. ამავე დროს მუსიკა მარსელიეზას უკრავდა. „პოტიუო“-ზედაც ზარბაზნები დასცალეს. პრეზიდენტი ფორი კაპიტნის ადგილას იდგა; იქვე იდგა მისი ამალა და გენერალ-ადიუტანტი ფრედერიქსი. პრეზიდენტს შავი ფრაკი და თეთრი ჟილეტი ეცვა, რომელზედაც წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ლენტი ჰქონდა ჩამოკიდებული და ფრაკზედ საპატიო ლეგიონის ვარსკვლავი ჰქონდა გაკეთებული. იგი ქუდ-მოხდილი იდგა და ხალხს სალამს აძლევდა. პრეზიდენტს ფორს პატარა ნავთ საყუდელთან მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, საფრანგეთის ელჩი გრაფი მონტებელლო და გენერალი ბუადეფრი მიეგებნენ. 10 საათსა და 35 წამზედ, პრეზიდენტი ფორი ამალით და მასთან დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე საიმპერატორო გემს „ალექსანდრიას“ მიუახლოვდნენ, რომელზედაც ხელმწიფე იმპერატორი უცდიდა სასურველ სტუმარს! ხელმწიფე იმპერატორი გადმოკიდულ ფიცრულზედ ძირს ჩამოვიდა, პრეზიდენტს ფორს მიეგება, ორჯელ გადაჰკოცნა და გემზედ აიყვანა. აქ პრეზიდენტს ხელმწიფე იმპერატორის ამალა და ზღვის მმართველობა წარუდგა. ავიდა თუ არა პრეზიდენტი ფორი გემზედ, მაშინვე რუსეთისა და საფრანგეთის დროშები ამართეს და ზარბაზნების ცლა დაიწყეს, 10 საათსა და 40 წამზედ საიმპერატორო გემი „ალექსანდრია“ ახალს პეტერგოფს წავიდა. 11 საათსა და 14 წამზედ „ალექსანდრია“ ახალს პეტერგოფში მოვიდა. სამხედრო ნავთ-სადგურიდგან ზარბაზნების ცლა დაიწყეს. აქ მათ დიდი მთავრები, სამხედრო მინისტრი და სხვანი მიეგებნენ. აქავე იდგა საპატიო ყარაული. 11 საათსა და 24 წამზედ პრეზიდენტი ფორი და ხელმწიფე იმპერატორი გემიდგან გადმობრძანდნენ. მუსიკა უკრავდა, დროშაც ჩამოეშვა და ზარბაზნების ხმა გაისმა. ხელმწიფე იმპერატორი და პრეზიდენტი ფორი ღია ეტლით დიდს სასახლეში მიმბრძანდნენ. ფორი იმპერატორმა მისთვის მომზადებულ სადგომამდის მიაცილა და თითონ ალექსანდრიაში წაბრძანდა. მცირე ხნის შემდეგ პრეზიდენტი ფორი ხელმწიფა იმპერატრიცასთან წაბრძანდა სადარბაზოდ. ნაშუადღევის ორს საათზედ სასახლის თეთრს დარბაზში, რომელიც მწვანითა და ყვავილებით იყო შემკული, საუზმე იქმნა გამართული. საუზმის შემდეგ პრეზიდენტი ფორი სადარბაზოდ იყო საიმპერატორო გვარეულობის წევრებთან.

12 აგვისტო

**პეტერბურგი.** სადილის შემდეგ, რომელიც გუშინ, 11 აგვისტოს, იქმნა გამართული პეტერგოფის სასახლეში საფრანგეთის პრეზიდენტის ფორისათვის, ხელმწიფე იმპერატორმა ფორს შემდეგი სიტყვა უთხრა ფრანგულს ენაზედ.

„J'éprouve un plaisir tout particulier á vous souhailer la bienvenue, monsieur le président, et je vous remercie de votre visite, qué la Russie entière acqueille avec une joie vioe et unanime. Le souvenir charmant des trop courtes journées passées en France l'année dernière demeure ineffaçablement gravé dans Mon coeur, comme dans celui de l'Impératrice. Nous aimons à espérer que votre séjour parmi nous et la sincérité de sentiments, qu'il eveille ne pourront que resserrer encore les liens d'amitié et de sympathie profonde qui unissent la France et la Russie. Je bois à votre santé, monsienr le président et à la prosperité de la France“.

სიტყვის შემდეგ მუსიკამ მარსელიეზა დაუკრა. პრეზიდენტმა ფორმაც საპასუხო სიტყვა მოახსენა.

„Votre Majestè a bien voulu rappeler les journées trop courtes au'avec Sa Majesté l'Impératrice Elle a passées à Paris au mois d'octobre dernier. La France entière en a gardé de son côté le souvenir le plus ému repondant au sentiment profond de toute la nation. Le président de la république vient dans la capitale même de l'empire de Votre Majesté affirmer et resserrer encore les liens st puissants qui unissent nos deux pays. En touchant le sol de la Russie à un moment, où le coeur des deux peuples bat à l'uuissou dans une mème pensée de fidélilé reciproque et de paix, je lève mon verre en l'hommëur de Sa Majestè l'Empéreur de toutes les Russies de Sa Majesté l'Impératrice et de la Russie toute entière“.

პრეზიდენტის ფორის სიტყვის შემდეგ მუსიკამ რუსეთის საერო საგალობელი დაუკრა.

სადილს შემდეგ პრეზიდენტს ფორს წარუდგნენ მინისტრნი, სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტების თავმჯდომარენი, სასახლის პირველნი მოხელენი და სტატს-სეკრეტარნი. შემდეგ წარმოდგენა იქმნა გამართული. თეატრი და მისი მოედანი საუცხოვოდ იყო გაჩირაღდნებული. წარმოდგენის დროს გამართულ იქმნა ბალეტი ოპერა „Жизнь за Царя“-ს მეორე აქტიდგან ბალეტი „Сонь въ лѣтнюю ночь“. როდესაც პრეზიდენტი ფორი, მასთან ხელმწიფა იმპერატრიცა და ხელმწიფე იმპერატორი დიდის მთავრინა მარიამ პავლეს ასულითურთ საიმპერატორო ლოჟაში შემოვიდნენ, ყველა დამსწრენი ფეხზედ წამოდგნენ და მუსიკამ მარსელიეზა დაუკრა. თეატრის ფოიეში, სპეციალურს ლუდოვიკო მე-XIV გემოზედ მიანაშენში ბუფეტები იყო გამართული.

**ვიტებსკი.** აქ ამბავი მოიტანეს, რომ ნეველში საშინელი ცეცხლი გაჩენილა; დამწვარა: მონასტერი, ტელეგრაფის კანტორა, სასამართლოს საკრებულო სახლი, ქალაქის გამგეობა, საპატიმრო, პოლიცია და 200-მდე სახლი. ხაზინა გადაარჩინეს. ხალხი არ უმსხვერპლია. 600,000 მან. ზარალია.

## წერილი რედაქციის მიმართ

(ბ. დ—რის „ღია წერილის“ გამო).

ბ. რედაქტორო, თქვენი გაზეთის № 150-ში მოთავსებულია ბ. დ—რის „ღია წერილი“ ჩემდამი მომართული, რომელშიაც ავტორი, აღიარებს-რა თავის-თავს შეურაცხყოფილად ჩემ მიერ „ივერიის“ № 111-ში დასტამბულ წერილში ნახმარ სიტყვებით, სამართალში მიწვევს... ვინაიდგან მე არც დრო მაქვს და არც სურვილი ტყუილ-უბრალოდ საქმის გაზვიადებისა და ვისიმე შეწუხებისა. უმორჩილესად გთხოვთ თქვენ გადასწყვიტოთ ბ. დ—რისაგან აღძრული საკითხი და გამოაცხადოთ, მქონდა თუ არა მე უფლება „დაბრმავებული და დაყრუებული ან ახლად გამოჩენილი „სამეგრელოს შვილი“ მეწოდებინა იმისთანა უცნობ „მეგრელისთვის“ (საკვირველია, ბ. დ—რი სამართალში მიწვევს და თავის ვინაობას-კი არ ამჟღავნებს), რომელიც საჯაროდ და ბეჭდვითი სიტყვით აღიარებდა, ვითომც მე არავითარი წინააღმდეგობა არ გამეწიოს და ჩემი აზრი არ გამომეთქვას იმ უკუღმართობის შესახებ, რომელსაც „აშორდიზმი“ ჰქვიან. თუნდ მარტო თქვენ გაზეთში მოყვანილი ლექსი რომ მივიღოთ მხედველობაში. შეურაცხყოფილი მე ვარ ბ. დ—რისაგან, რადგან მისი სიტყვით მხოლოდ წვრილმანებს გამოვეკიდე და, როცა საჭირო იყო თავის გამოდგება, ჩუმად ვიყავი და ბ. დ—რი-კი აცხადებს „ეხებით ჩემს პიროვნებას“, რადგან „დაბრმავებულს და დაყრუებულს ან ახლად გამოჩენილს“ მიწოდებთო. მე რომ არც-კი ვიცი, ვინ ბრძანდება ბ. დ—რი, როგორ შემიძლია შევეხო მის პიროვნებას? ხოლო საზოგადოთ ვინც მეტყვის, რომ „აშორდიზმის“ წინააღმდეგ მე, შეძლებისა დაგვარად, არ მიმოქმედნია სიტყვით და საქმით, იმას კვლავაც ვეტყვი, რომ ან „დაბრმავებული და დაყრუებული“ ბრძანებულა და ან „ახლად გამოჩენილა“ და ძველი ამბავები არა სცოდნია. ჩემის აზრით სრული უფლება მაქვს ამისი, მაგრამ, თუ თქვენ, ბ. რედაქტორო, წინააღმდეგს იტყვით და მე გამამტყუნებთ, მზად ვარ მივიღო თქვენი განაჩენი *)...

დუტუ მეგრელი

*) არა ვკისრულობთ რა ამ საკითხის გარდაწყვეტას, საჭიროდ ვთვლით მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ბ. დ—რის პირად შეურაცხყოფაზედ ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელია, რადგან ამ უკანასკნელს პირადად არ იცნობს ბ-ნი დუტუ მეგრელი.

რედ.


# განცხადებანი

ახლად გამოვიდა და ისყიდება

**ფაბიოლა**

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის ძმობისა, თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შოლაროვთან.

თეოდოსია დავითის ასული ჩხეიძისა შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ განსვენებულის მისის უძვირფასესის მეუღლის

**ილია დავითის ძის ჩხეიძის**

მეორმოცე დღის პანაშვიდი იქნება გარდახდილი 14 აგვისტოს, საღამოს 5 საათზედ, დაბა ყვირილის წმ. ნინოს ეკკლესიაში.

(1—6.—1)

1881 წელს უმაღლესად დამტკიცებული

**დამზღვევი საზოგადოება**

**„როსსია“**

(რუსეთი)

ს. პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაია, 37

**ძირისა და სათადარიგო თანხა 29,000,000 მანეთი.**

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

ე. ი. თანხისა და შემოსავლისა ოჯახის ანუ საკუთარის მოხუცებულობის, ქალის მზითვის, ვაჟთა სტიპენდიების და სხ. უზრუნველ-საყოფელად, განსაკუთრებულ სახეირო პირობებითა და ისე, რომ დამზღვეველნიც მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოების მოგებაში.

1896 წლის 1 იანვრისთვის „რუსეთი“-ს საზოგადოებაში დაზღვეულ იქმნა 41,397 კაცი 102,694,700 მან.

**დაზღვევა უბედურ შემთხვევათაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთოდ ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა იმ პირობით, რომ დასაზღვევი შესატანი შემცირებული იქმნება დივიდენდის ჩარიცხვისა გამო.

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველგვარ უძრავისა და მოძრავის ქონების (შენობათა, მანქანებისა, საქონლისა, ავეჯისა და სხვ.)

**დაზღვევა გასაგზავნ საქონლისა**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით და აგრეთვე გემებისა.

**განცხადება დაზღვევის მსურველთაგან მიიღება და ყოველგვარი ცნობები** ეგზავნება გამგეობას პეტერბურგში (ბოლშაია მორსკაია, საკუთარი სახლი, № 37): **ტფილისის** განყოფილებაში (სერგეევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქში.

**უბედურ შემთხვევისაგან დასაზღვევი ბილეთები მგზავრებს** როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ, მიეცემათ რკინის გზის სადგურსა და ნავთ-სადგურებზედ.

(6—147—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 12-го Августь 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.